**სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/95 § 18-10 2021 წ. 350

**სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წ. 26 აგვისტოს №50 დადგენილების - „აწსუ-ს ფაკულტეტებზე კვლევითი პროექტების დაფინანსების მიზნით სახელმძღვანელო კრიტერიუმების განსაზღვრის შესახებ“ - და „სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 ივნისის №193 დადგენილების საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. გამოცხადდეს სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსი;
2. შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის მიმართულებები, პროექტის შეფასების კრიტერიუმები და კონკურსთან დაკავშირებული სხვა პირობები განსაზღვრულია „სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი“-ს შესახებ აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 ივნისის №193 დადგენილებით;
3. გამოცხადდეს საგრანტო კონკურსის საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება 2021 წლის 25 ოქტომბრიდან 29 ოქტომბრის ჩათვლით, $10^{00}$ სთ.-დან $16^{00}$ სთ-მდე, მისამართზე: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის №59, აწსუ-ს XXII (საბიბლიოთეკო) კორპუსი, აუდ. №22-204. საკონკურსო დოკუმენტაციას სარეგისტრაციოდ წარადგენს მხოლოდ პროექტის ხელმძღვანელი.

4. საგრანტო დაფინანსების საერთო ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვროს არაუმეტეს 11 000 (თერთმეტი ათასი) ლარის ოდენობით;
5. საპროექტო განაცხადის დოკუმენტაცია უნდა ჩაბარდეს როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით მყარ დისკზე (CD/DVD), რომელიც ელექტრონულად აიწყობა Word-ს დოკუმენტში, A4 ფორმატის ფურცლის ზომებში, არე მარცხნიდან - 3 სმ, ზევიდან - 2 სმ, ქვევიდან - 2 სმ და მარჯვნიდან - 2 სმ. ტექსტის სტრიქონებს შორის ინტერვალი 1.15 (Single), სათაურებსა და ტექსტს შორის, ცხრილებსა და ტექსტს შორის დასაშვებია უფრო მაღალი ინტერვალი; დოკუმენტის შრიფტი - Sylfaen, ზომა - 12;
6. პროექტების შეფასება შიდასაფაკულტეტო კომისიის მიერ განხორციელდეს 2021 წლის 1-2 ნოემბერს, ხოლო 2021 წლის 3 ნოემბერს გამოცხადეს კონკურსის პირველი ეტაპის შედეგები;
7. კონკურსის პირველი ეტაპის შედეგების აპელაციის პერიოდად განისაზღვროს 2021 წლის 4-5 ნოემბერი, ხოლო აპელაციის შედეგები გამოცხადდეს 8 ნოემბერს. სააპელაციო განაცხადს წარადგენს და სააპელაციო განაცხადის განხილვაში მონაწილეობს მხოლოდ პროექტის ხელმძღვანელი.
8. კონკურსის პირველი ეტაპის საბოლოო შედეგების მიხედვით, დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროექტების შეფასება განხორციელდეს 2021 წლის 10-13 ნოემბერს, ხოლო 2021 წლის 15 ნოემბერს გამოცხადდეს კონკურსის მეორე ეტაპის შედეგები;
9. კონკურსის მეორე ეტაპის შედეგების აპელაციის პერიოდად განისაზღვროს 2021 წლის 16-17 ნოემბერი. სააპელაციო განაცხადს წარადგენს და სააპელაციო განაცხადის განხილვაში მონაწილეობს მხოლოდ პროექტის ხელმძღვანელი.
10. კონკურსის საბოლოო შედეგები გამოცხადდეს 2021 წლის 19 ნოემბერს;
11. გრანტის მიმღებთან ხელშეკრულების გაფორმება განხორციელდეს 2021 წლის 22 აპრილიდან 29 ნოემბრის ჩათვლით;
12. გამარჯვებული საგრანტო პეროექტ(ებ)ის განხორციელება დაიწყოს 2021 წლის 1 დეკემბერს;
13. კონკურსის შესახებ ინფორმაცია („სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი“, „პროექტის სააპლიკაციო ფორმა“ და „პროექტის ბიუჯეტის ფორმა“) გამოქვეყნდეს აწსუ-ს ვებგვერდზე (http://atsu.edu.ge) და უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე.
14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**რექტორის მოვალეობის შემსრულებელი:** **ასოც. პროფ. შალვა კირთაძე**

**დეკანი:** **პროფ. ნანა შონია**